



# მშენებელი

## რედაქცია

საგაზეთო შასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ ვერცხვზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხოვნები.  
 რედაქცია ღიაა: დილის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.  
 მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი.

## კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 120 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტრიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.  
 კანტორა ღიაა: დილის 8-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.  
 ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 50.

### 13 ამა ნოემბერს, დილის 10 საათზე, გადაიკვალა ქ ქუთაისში ხანგრძლივი ავანტიურის შემდეგ დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიძე

რასაც უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ მეუღლე გადაცვლებულისა ეკატერინე თეიმურაზის ასული აბდუშელიძისა, ქალიშვილები ანასტასია ვირსალაძისა, თამარა დემიდოვისა, ნინა მამრადსა და კლისაბედ (ფუსა) აბდუშელიძისა და სძებები სპირიდონ სვიმონის ძე ვირსალაძე, ვასილ ალექსანდრეს ძე დემიდოვი და პეტრე გრიგოლის ძე მამრადე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე, საკუთარ სახლში, რესპუბლიკის (ოლდენბურგის) ქუჩაზე. დაკრძალვა მოხდება 18 ნოემბერს დღით სამშაბათს ნაშუადღევს სამ საათზე საფარხინის სასაფლაოზე.

ელენე იოსების ასული აბდუშელიძისა, იმის შვილები მარიამი, ელისაბედი, სოფიო, ანა და ნინა და სძებები ანტონ ხაბურძანია, გრიგოლ ბარათაშვილი, ზაქარია მაქავარიანი, იპოლიტე ვართაგავა და იაკობ ფანცხავა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 13 ამა ნოემბერს გადაიკვალა პირველის დაუვიწყარი მახლი, ხოლო დანარჩენებისა საყვარელი ბიძა

**დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიძისა.**  
 პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე, საკუთარ სახლში, რესპუბლიკის ქუჩაზე გამოსვენება თვრამეტე ამა ნოემბერს ნაშუადღევს სამ საათზე. დასაფლავება საფარხინის სასაფლაოზე. 1-1

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი ჩიტო, დედამთილი სეფორე, მამამთილი სიმონ, მული ელენიჩკა, მახლები გიორგი და კოლა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ნოემბრის 15-ს გარდაიცვალა პირველის საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე და მეორეთა რძალი

**პარპარა ივანეს ასული ჭუმბურიძისა**  
 გამოსვენება მოხდება 20 გიორგობისთვის დღით ხუთშაბათს სოფელ მწუხარელაში საკუთარ სახლიდან. 3-1

**გისეუფადი ხედოვანი, რომელმაც დათავრა პეტერბურგის კონსერვატორია**  
 უფსოარ კუსკოვოს - სტანისლავსკის ხელმძღვანელობით, აძლევს მუსიკის (როიალზე) გაკვეთილებს.  
 მისამართი: ბაღის ქუჩა სახლი მესროპოვისა ნაკაშიძე.

დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრა მიხეილის ასული შვილები ლადიმერი, მიხეილ. შალვა და დავითი ქალიშვილები ანა კოსტანტინეს ასული ლოლობერიძისა, მარიამი და დესპინე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას.  
**პოსტანტინა იოსების ძე იოსელიანისას.**  
 გამოსვენება ხუთშაბათს 20 ნოემბერს 3 საათზე არტილერიის შესახვევი, ყუფარაძის სახლი. პანაშვიდი ყოველ დღე 4 საათზე. 3-1

**დავუბრკე** პაუმიდან - ნატა ტანებამდე უზნის საფულე დოკუმენტები სამი პასპორტი: 1) ადგილობრივი, 2) საზღვარგარეთელი 3) ბათუმში მყოფ ჩვენი ელჩის მიერ მოცემული; 4) ფულის გატანის ნებართვა საზღვარგარეთ და სამხედრო განთავისუფლების ბილეთი თავის სურათით. ყოველ ზემო აღნიშნულ საბუთებს დღეს რიცხვიდან გაუქმებულათ ვაცხადებ.  
 ისაკ შაბათას ძე რიუინ შვილი. 2-2

### პიროვნების ხალხაუხეზლოვ და „ერთობა“

გაზ. „ერთობა“ პიროვნების ხელშეუხებლობის პრინციპს თითქო აღიარებს (იხ. „ერთობა“ 15 ნოემბრის, წერილი „ერთი იქსისა“). თანახმაა, პიროვნება გაუსამართლებლად არ უნდა ისჯებოდესო. ამისთვის ვიბრძოდით, ამას ვზიოდით, ეს მიზანი ჰქონდა რევოლუციის, ამისათვის გვიხაროდა ძველი რეჟიმის დამხობაო. აღმინისტრაციის თვითნებობას თავისუფალ ქვეყანაში ადგილი არ აქვს.

მოქალაქეთ ნება აქვს შეიკრიბონ, პოლიპარაკონ, რეზოლუციები გამოიტანონ, პეტრიციები წარუდგინონ მთავრობასა და სხ. და აღმინისტრაციას ნება არ უნდა ჰქონდეს დაარღვიოს მოქალაქეთა ეს საჯარო უფლებანი გარდა იმ შემთხვევათა, როდესაც კანონიერე

ბის საზღვარს გადააბიჯებენ. მაგრამ მაშინაც მათი დასჯა მხოლოდ სასამართლოს წესით უნდა წარმოებდესო. ვინ არ მოაწერს ხელს ამ დებულებაზე! მაგრამ, ვეჭვობ, „ერთობა“ გულწრფელად ლაპარაკობდეს პიროვნების ხელშეუხებლობისა და თავისუფლების პრინციპის სახელით. რა არის ხელშეუხებლობის პრინციპის იდეა? ის, რომ უდანაშაულო არ უნდა ისჯებოდეს.

დაცულია თუ არა ჩვენში მოქალაქის ხელშეუხებლობა?! რასაკვირველია, არა. ამის მაგალითი ბევრია. მაგრამ გავახსენებ „ერთობას“ ერთ-ერთს შემთხვევას, რომელიც დამფუძნებელი კრების სხდომებზე ყოველის მხრივ გაშუქებულ იქნა. ქალ. ხონის მოქალაქეებმა კრება გაპართეს, დაადგინეს, ხონი უბრალო წვრილ ერთეულად იყოსო, შეადგინეს სათანადო პეტიცია, მოაწერეს ხელი და აირჩიეს დელეგაცია მთავრობასთან გასაგზავნად. არავის არ წაუქეზებია ვინმე არც აჯანყების, არც გადასახადების არ გადახდისათვის.

დელეგაციის წევრთა უმეტესობა მოხუცებული ხალხია და მეთაური-ლუკა ბახტაძე - არაოდეს რევოლუციურს ან კონტრ-რევოლუციურსა-ქმეში არ ყოფილა. ყველაფერი ეს დამტკიცდა, მაგრამ დელეგაციის წევრი დღესაც ციხეში სხედან, (მხოლოდ ლ. ბახტაძე გაან-



თავისუფლებს ერთის თვით დატუსა-  
ლების შემდეგ).

გვეთხებით, ბ-ნო „ერთი იქსო“:  
ხსენებული მოქალაქეები თუ დამნა-  
შავე იყვნენ, რატომ სასამართლოს  
არ გადასცეს?!

და, თუ უდანაშაულოთ იხდიან  
სასჯელს, გამოტყუით და სთქვით:  
თქვენ იანებს პიროვნების ხელშეუხებ-  
ლობის პრინციპი ნაკლებად გწამსთ.

ბრძანებთ: დღეს არეული დროა,  
რესპუბლიკას ბევრი მტერი ჰყავს,  
კდილობენ, აჯანყება მოგვიწყონ,  
საქართველოს სახელი გაუტყვენო;  
ერის ბედი სასწორზეა დადებული და  
სხვა გზა არა გვაქვს, საგანგებო—აღ-  
მინისტრატული და სამხედრო წესე-  
ბი უნდა ვიხმაროთო.

მართალია, ბევრი ადმინისტრატო-  
რი და სამხედრო პირი თავის უფლე-  
ბას ბოროტად მოიხმარს და ბევრი  
უდანაშაულო მოქალაქე შეიქნება ამ  
წესების მსხვერპლი, მაგრამ მაგიე-  
რად ამ ზომებით მალე მშვიდობიან-  
ობას დავამყარებთ, და საგანგებო  
წესების გაუქმებას ნიადაგს მოვუშ-  
ვადებთო.

ჩვენ კი აი რას მოვახსენებთ ბ-ნ  
„ერთი იქსო“: როდესაც ის ამბობს:  
ბევრი უდანაშაულო მოქალაქე დაის-  
ჯებაო, — ამით პასუხისმგებელ ხელის-  
უფალთა თვითნებობას ადასტურებს.

რა ვუყოთ, რომ ხელისუფალს დი-  
დი უფლება აქვს? მას ისეთი დირე-  
ქტივები უნდა ეძლეოდეს, რომ უდა-  
ნაშაულო მოქალაქის დასჯა ვერ გა-  
ბედოს.

ხელისუფალი სასტიკი კანტროლის  
ქვეშ უნდა იყოს, დისციპლინას უნ-  
და ემორჩილებოდეს და დარწმუნე-  
ბული უნდა იყოს, რომ თავისი უფ-  
ლების ბოროტად მოხმარება არ  
შერჩება.

დიად! სამხედრო და საგანგებო წე-  
სები იმას კი არ მოასწავებს, რომ  
უდანაშაულონი უნდა ისჯებოდნენ,  
არამედ იმას, რომ დამნაშავენი უნ-  
და ისჯებოდნენ სწრაფად, რომ ამ-  
ბოხება არ გაძლიერდეს. ეს არის ასე-  
ჯი წესების დანიშნულება!

„ბევრი უდანაშაულო დაისჯებაო“!  
როგორ უნდა სთქვას ეს პასუხის-  
მგებელმა პუბლიცისტმა?!

მართალია, შეიარაღებული მემ-  
ბოხე, ანუ გადასახადების არ გადახ-  
დის მქადაგებელი აუცილებლად უნ-  
და დაისჯოს.

მაგრამ არავითარ შემთხვევაში არც  
ერთი უდანაშაულო!

და, თავისუფალი და დამოუკიდებ-  
ბელი პრესა მოვალეა გაბედოს სი-  
მართლის თქმა.

და, თუ გამბედაობა აკლია, მძლავ-  
რობის, უკანონობისა და უსამართ-  
ლობის გამართლებას მიიხრჩვეთ არ უნდა  
კდილობდეს.

უნდა იცოდეს: თავისუფალი აზ-  
რის ჩაწმენა და ჩაკვლა არავითარ  
ძალას არ შეუძლია.

მაშ ამაოა დევნა იმ მიმართულე-  
ბის, რომელსაც კი საქართველოს სა-

ხელმწიფოებრიობის დანგრევა მიზ-  
ნად არ აქვს.

დროა უკუაგდონ პარტიული ფა-  
ნატიზმი!..

ნესტარი.

### არქაევანის უაღვეი.

ქიათურისა და საჩხერის რაიონე-  
ბის წვრილი საერობო ერთეულების  
არჩევნები ბევრის მოქმედია.

ზოგ თემში ეროვნულმა-დემოკრა-  
ტიებმა გაიმარჯვეს, ზოგში სოციალ-  
დემოკრატებს გაუთანასწორდენ, გა-  
უნახევრდენ და არსად არ გამესამე-  
დებულან!

მერე ვინ არ იცის, რომ სოციალ-  
დემოკრატის არჩევნების დროს ყო-  
ველივე სულიერი წონასწორობა ეკა-  
რგება და ყველაფერ საშუალებას  
ხმარობს, ოღონდა კი გაიმარჯვოს.

მაგალითად ჩემ სოფელში — ცხრუ-  
კვეთში — როცა შეატყვეს, რომ ხა-  
ლხი ეროვნულ დემოკრატებს აძლევ-  
და ხმას, საარჩევნო ყუთი არ გააჩე-  
რეს: მოიმიზეზეს: გვეჩქარებაო.

იმავე დროს — რა დასაფიცავია —  
სოციალ-დემოკრატის, როგორც  
მმართველ პარტიას, უკეთ აქვს მო-  
წყობილი აგენტურა.

ისეთი სოფელი არ არის, რომ  
მათი მქადაგებელი არ მისული-  
ყოს.

და, სადაც სხვა პარტიის მქადაგე-  
ბელს ვერ ნახულობენ, არჩევნებს —  
ქადაგებას წაუშეშვარებენ ხოლმე  
წინ.

სოფ. ბოსლევში ბიულეტენები არ  
დათვალეს, ყუთი ზესტაფონში წაი-  
ღეს და იქ გახსნეს; რასაკვირველია,  
ეს — საარჩევნო წესის დარღვევაა.

ბევრგან ამგვარ ზომებს ზედ ერ-  
თვის მუქარაც.

მეორე მხრით, ეროვნული-დემო-  
კრატია, როგორც ახალი პარტია,  
არ არის ჯერ კარგად მოწყობილი.

ინტელიგენციის უმეტესობა, რუ-  
სეთის ძველი რეჟიმის დროს გადაგ-  
ვარებული, სოციალისტურ პარტია-  
ებში ჩაეწერა, მისი უფრო, რომ არა  
სოციალისტს თბილი ადგილის მო-  
ვნა უქირს.

და ეროვნულ დემოკრატის ცო-  
ტა ინტელიგენტი ჰყავს.

ეს კია: ეროვნული დემოკრატის  
ინტელიგენცია უფრო გულწრფე-  
ლია.

რამ უნდა აიძულოს ვინმე ამ პა-  
რტიაში ჩაწერისთვის? თბილი ად-  
გილის მოვნისათვის ხომ არ გამოა-  
დგება!

მაშ, ვინც ამ პარტიაშია, რწმენით,  
შეგნებით არის.

ეს არის ამ პარტიის ძალა. ამი-  
ტომ იზრდება იგი!

დასასრულ აღსანიშნავია ერთი  
მოვლენა.

ხელოსნები და მეტადრე წვრილი  
მუშები ჩვენს პარტიაში დღითი დღე  
ასობითა და ათასობით გადმოდიან.

საკვირველია სწორეთ! სადაც არ  
მივსულვართ, იქაც გაჩნდენ მომხ-  
რებნი.

რას მიკაწვროთ? იმას, რომ ერო-  
ვნული დემოკრატის მიმართულე-  
ბა — წვრილი მიწის მუშებისა და მე-  
საკუთრე ხელოსნების ბუნებრივი მი-  
მართულეობაა.

ხალხი ჩვენკენ გადმოდის!  
და სოციალ დემოკრატებს აღარ  
აქვსთ უფლება თქვან: მთელი ხალ-  
ხი ჩვენ მოგვყვებაო.

ვასილ წერეთელი.

### ჯარში განჯება.

რესპუბლიკის მთავრობამ 1899  
წელში დაბადებულია მობილიზაცია  
დაიწყო. ამ წესით უნდა შეგროვ-  
დეს ნამდვილი ჯარი, გონებით სა-  
ლი რწმენით უპარტიო და მოვალე-  
ობის მტკიცე აღმასრულებელი. სა-  
ქართველოს ძველათ მრავალი გადა-  
უტანია ომიანობა. რევოლუციის  
შემდეგაც ხშირათ უხდებოდა მას  
სასიცოცხლო ინტერესების დასაცა-  
ვად ბრძოლა შინაურ სნარქისთან  
თუ უცხო მტრებთან, ამ ბრძოლე-  
ბიდან ქართველი ჯარი უმეტესად  
გამარჯვებული გამოდიოდა, თუმცა  
ქართველმა ჯარმა სამარცხვინო რო-  
ლი ითამაშა ბათუმის ისტორიაში,  
მაგრამ ეს მაშინდელი ამბავია, რო-  
ცა ის სულით დაავადებული იყო,  
როცა სოფლის პროპანგანდისტები  
გამოჩენილ ღენერლებს ბრძანებლო-  
ბდენ, და ასეთ პირობებში აუცი-  
ლებელიც იყო მათი დამარცხები.  
სულ სხვა პირობებია დღეს, თუმც  
სავსებით ჯერ ვერ შეგვითვისებია  
წესიერი სახელმწიფოური ცხოვრება.

შეიქმნა მრავლად ყავს საქართვე-  
ლოს მტრები მათ ბანაკში თავი  
მოიყარეს ბოლშევიკებმა, მონარ-  
ქისტებმა, რუსის ეროვნების ყოვე-  
ლმა ადამიანმა და შინაურ ცოტათ  
თუ ბევრად დამშვიდებულ ცხო-  
ვრებას დღითი დღე აფორიაქებენ.  
რეაქციონურ დენიკინს კარგა ხა-  
ნია რაც თავისი აგენტები ყავს სა-  
ქართველოში. ესენი. ერთ დროს  
ნებადართულადაც მოქმედობდენ.

ყასაბ ლენინს თვალთ საქართვე-  
ლოსკენ უჭირავს და აქტიურ დახმა-  
რებას მოელის საქართველოდან.  
დღეს, როგორც ხმები დადის, ქარ-  
თველი აგენტიც გამოუგზავნია მი-  
ლიონობით, და წყნარ ცხოვრებას  
გვინგრევს.

კიდევ მრავალი ჯგუფების ჩამოთ-  
ვლა შეიღებოდა, რომლებმაც აი-  
ძულა ჩვენი მთავრობა უსასტიკეს  
ზომებისათვის მიემართა, რკინის გზა-  
ზე სამხედრო წესები გამოეცხადე-  
ბია, რომლითაც ჩვენი გლეხი უფრო  
ისჯება ვიდრე აფხაქთა გროვა.

და ამათ საბრძოლველათ, რომ-  
ლებიც ყველაფერს ურიგდებიან გა-  
რდა საქართველოს დამოუკიდებლო-  
ბისა, მთავრობას ჯარი სჭირდება  
მთავრობამ მობილიზაცია დაიწყო,  
ახლად დაგროვილი ჯარი ანარქის  
ჩასაქრობად და ეროვნული თავისუ-  
ფლების დასაცავად არის საჭირო.  
მხოლოდ წელიწად ნახევარია,

რაც ქართველმა ერმა ჩრდილოეთის  
უღელი მომართა და უბრძოლვე-  
ლათ ეროვნული თავისუფლებას ის  
არავის დაანებებდა.

დაბადებული ერთგულად გაყვებიან  
მთავრობას და ერის სადარაჯო აღ-  
გილს დაიკავებენ. ქართველ ერს  
უკვე დაუბრუნდა ისტორიული სახე  
და თვითმპყრობელი შეიქმნა თავისი  
ბედის, და ამ სახის მქონე ადამიანი  
ვალდებულია სამშობლო სახელმწი-  
ფოს დაცვა უერთგულესად გასწიოს.  
ეროვნული არსებობის დაცვისთვის,  
მობილიზაცია სახელოვნად უნდა ჩა-  
ვატაროთ ვინც ეხლა ამ კრიტიკულ  
მომენტში უღალატებს სამშობლოს  
იგი რისხვას დაიმსახურებს. მშობ-  
ლიური ერიდან. ასი წლის განმავ-  
ლობაში ქართველ ერს სამშობლოს  
სამსახურის უფლებას არ აძლევ-  
დნენ, დღევანდელ თაობას კი ბედ-  
მა არგუნა ეს დიდი ღირსება. ქარ-  
თველ ახალგაზრდობას მოვალეობათ  
აწვეს ჰკვდრეთით აღდგენილ საქა-  
რთველოს ხორცი შეახსას.

ასი წლის განმავლობაში საქართ-  
ველოს შვილი ისეთი უსაზღვრო და  
ბუნებრივი ბედნიერი არას დროს არ  
ყოფილა, როგორც ეხლა არის. სა-  
ქართველოს ასი წლის მაჩინჯი სა-  
ხე ძირიან ჭესვიანათ შეიცვალა.

და ამ სახეს შენარჩუნება უნდა.  
საქართველომ სხვისი იმედი გა-  
დაიწვიტა, მასთან არავინ იყო უდი-  
დეს ბრძოლაში, განმარტოებული  
იღვა...

სახელმწიფოებრივი ინტერესე-  
ბის დასაცავად, ჯარი პოლიტიკის  
გარეშე უნდა იდგეს. მასში არ უნ-  
და იქნეს შეტანილი არც ერთი პო-  
ლიტიკური პროგრამა. ჯარის სახა-  
რება ეს სარდლების ბრძანება არის,  
სარდლების გეგმა კი მთავრობის კა-  
ნონებიდან გამომდინარეობს დღევა-  
ნდელ პირობებში ჩვენ ოპოზიცი-  
აც უნდა ვაწარმოოთ მთავრობის  
და ბოლშევიკურ ანარქისთან ბრძო-  
ლაში მხარი უნდა დაუჭიროთ.

ქართველ ახალგაზრდებს უნდა  
ახსოვდესთ წმინდა ანდერძი: „ჩვენ  
თავს ჩვენვე უნდა მოუაროთ“.

და ამ უმანკო ანდერძის განსახიე-  
რებას გონიერად უნდა შეუდგეს.

ბიკ. მუხურელი.

### პრესა.

სომხებთან დადებულ ხელშეკრუ-  
ლების გამო გაზ. „ივერია“ სხვათა  
შორის სწერს:

„ბორჩალო — ჯავახეთი — საქართ-  
ველო — ეს სინამდვილეა. და ეს  
სინამდვილე ორგანიულად ჩაქსო-  
ვილია და შეცნობილი მთავრო-  
ბის ყოველი წევრის მიერაც.“

მთავრობამ თავის დროზედ ვერ  
დაიცვა ერის ეს საკუთრება. და  
უშვა მთელი რიგი საბედისწერო  
შეცდომები, რომელმაც მოპირდა-  
პირე ნელი-ნელ ფაქტიურ მონა-  
წილედ შეეყვანა ქართველი ერის  
უფლებებში. და დღეს იმის მაგი-





ერ რომ ეს შეცდომა გამოასწოროს და საქართველოს განუტევიკოს ის, რაც ათასი წლების განმავლობაში ჩვენს წინაპრებს აუარებელი მსხვერპლის გაღებით შეუწარმუნებია, ამის მაგიერ მთავრობა ახალ შეცდომას ჩადის ოფიციალურის აქტით საერთაშორისო დოკუმენტის სახით, იგი აღიარებს **სადაოთ**, რაც ჩვენი იყო, არის და უნდა იყოს. ეს არის დიდი პოლიტიკური დამარცხება, დიდი ეროვნული დაზარალება, -- შედეგი ჩვენი უმწიფარი დიპლომატიისა, ჩვენმა მთავრობამ სომხეთს ჯერ ფაქტიურად დაანება ბორჩალო და ეხლა მას ფორმალურად აძლევს ამის აღიარების პირველს დიდს ავანსს. დამფუძნებელმა კრებამ ეს ნომენტი ვერ გაითვალისწინა და უგუნურ ხელშეკრულებას დასტური დასცა!

მაგრამ ხელშეკრულება არც იმას გვეუწება, თუ რა ფარგლისა ის ჩვენი ტერიტორია, რომელიც ჩვენმა მთავრობამ სომხის მთავრობასთან შეთანხმებით, **სადაოდ** გამოაცხადა! შეიძლება საქართველოს მხოლოდ ერთი სოფელია მისგან სადაოთ გამოცხადებული, შეიძლება ორი-სამი ან მეტი მაზრა! ხელშეკრულება ამას არ ამბობს. არ ვცით მთავრობას რა აქვს გულში.

დამფუძნებელი კრება, ფიზიკური თვალის პატრონი რომ ყოფილიყო, ვერ მიიღებდა, ასე უსაზღვრო ვარაუდით დაწერილ ხელშეკრულებას! დამფუძნებელმა კრებამ ვერც ეს მომენტი გაითვალისწინა და ასეთი ყოველად მანკიანი და საზარლო ხელშეკრულება მთავრობას მოუწონა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი იმ ვაჟბატონთაგანი, რომელიც ამ ხელშეკრულებას ხმას აძლევდა, სოლიდარობის გულისათვის, ხელს არ აიღებს თავის საკუთრება მიწაზე, სომხის მოკვარად რეზე საფუძვლიანად გაცემული რომ ჰქონდეს და არც ერთი მათგანი თავის საკუთარ სახლს არ დასთმობს, თუნდაც ეს სახლი მთლიან სომხის მდგმურებს ეჭროს! ყველა ეს ვაჟბატონი თავს მოიკლავს, სამოქალაქო ომსაც დაატრიალებს და იმაზედ კი არ დათანხმდება რომ შეთანხმებით და ან არბიტრაჟით რევოლიუციური „მონაპოვარიდან“ იოტის ოდენა რამე დასთმონ: თუნდაც ნახევარი სამუშაო საათი, ან წითელი დროშის მაგიერობა ეროვნულ დროშას დაუთმონ! მაგრამ ეროვნული საკუთრება, მათი პირადი საკუთრება არ არის და არც მათი წითელი დროშა, იგი შორეული განყენება და ამიტომაც მის ხარჯზე რევოლიუციური ჯენტლმენობაც ადვილი საქმეა!

მეორე ხელშეკრულება, რომელიც თავისუფალ ტრანზიტს აწესებს ხელის-შემკვრელ სახელმწი-

ფოთა შორის. იმდენად ცალმხრივია, იმდენად სასარგებლო სომხეთისთვის და იმდენად დამაზარებელი ჩვენი ხაზინის და ყოველი ეს იმდენად ცხადი და აშკარაა, რომ სოციალისტებმა ოპოზიციის კრიტიკას ვერაფერით პასუხი ვერ გასცეს. ხმაგაკმენდილი ისხდნენ, როგორც დამნაშავენი და ხელის აწევით მიიღეს იგიც.

ასეთ ხელშეკრულებას უწერს ჩვენი მთავრობა ქართველ ერს, ასეთ ხელშეკრულებას უდასტურებს მას დამფუძნებელი კრება.

**უცხოეთი**

**ადერბეიჯანი.**

**მთავრობის კრიზისი**

12 გიორგობისთვის, უსუფ-ბეკოვმა თანხმობა განაცხადა მთავრობაში შესვლისა და კაბინეტის შედგენისა.

„მუსავატი“-ს ფრაქციის ხსენებაზე მსჯელობა ჰქონდათ მთავრობის ახალი კაბინეტის შექმნის შესახებ. ამავე ხსენებაზე ხალილბეი ხანსაძლევმა, ფატალი ხან-ხოელმა და პარიზიდან დაბრუნებულმა განჯისკომ განაცხადეს თავიანთი თანხმობა მთავრობაში შესვლის შესახებ. ორშაბათს პარლამენტი მოისმენდა მთავრობის დეკლარაციას.

**სომხეთის ნოტა აზერბაიჯანის მთავრობას.**

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნოემბრის 12ს შემდეგი დეპეშა მიიღო:

„მივიღეთ რა მხედველობაში აზერბაიჯანის მთავრობის აშკარა თანხმობა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფერენციის მოწვევის შესახებ, -- სომხეთის მთავრობამ დაადგინა კონფერენცია გახსნილიყო ნოემბრის 20-ს. გასაგზავნად არჩეული დელეგატები იძულებული შეიქნენ შეჩერებულიყვნენ, იმ ცნობის გამო რომელიც სომხეთის მთავრობამ სარწმუნო წყაროებიდან მიიღო ეხლა, აზერბაიჯანის ჯარის მიერ სამხედრო მოქმედება სომხეთის ზანგეზურის დასაპყრობად შეიარაღებული ძალებით.“

ეს ახალი საფრთხე მთელ აზერბაიჯანსა და საფრთხეს უმზადებს. სომხეთი, რომელიც შეთანხმების ნიშნად შეურყევლად იდგა, ერთხელ კიდევ მოუწოდებს აზერბაიჯანის მთავრობას დაუყონებლივ შეაჩეროს ყოველგვარი სამხედრო მოქმედება და შეარღებული ძალებით ზანგეზურის სანახების დაქრაც.

წინააღმდეგ შემთხვევაში სომხეთის მთავრობა მოსალოდნელ სისხლის ღვრასა და მთელ აზერბაიჯანისთვის უაველგვარ პასუხისმგებლობას დააკისრებს აზერბაიჯანის მთავრობას.“

საგ. საქ. მინისტრი ხატისოვი. **სომხეთი** **ვენეზუელისი და სომხეთი.** **საბერძნეთის მთავრობის მეთაურ-**

მა ვენსელისმა, ეურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

„თუ სომხეთის საკითხი გადაწყდა და უახლოეს მომავალში და რომელიმე სახელმწიფომ -- მანდატორმა სომხეთი არ დაიკავა, იქ არც ერთი სომხი არ დაჩნდება.“

**ვილსონის ავადმყოფობა და სომხები**

პარიზში მყოფი სომხეთის დელეგატებმა პოლოს ნუბარსა და აგარონიანმა გაუგზავნეს ავადმყოფ ვილსონს დეპეშა, სადაც უსურვებენ „სომხების მეგობარს“ მალე განკურნებას პარიზის სომხების ეკლესიაში გადახდილი იქნება პარაკლისი ვილსონის ავადმყოფობის გამო.

**ჯეიმს ერშარდის გამოსვლა**

დამოუკიდებელ სომხეთის კომიტეტის თავმჯდომარე ჯეიმს პერარდი წინააღმდეგია ამერიკის მანდატის შესახებ ოსმალეთში ის მხოლოდ მომხრეა სომხეთის მანდატის.

**სომხეთის პარლამენტის და მთავრობის გადადგომის მოთხოვნა.**

ალექსანდროპოლიდან იტყობინებინ, რომ ყველა არსებულ პარტიები ქალაქში: სომხეთის სახალხო პარტია, სოციალ დემოკრატები, რამქვერი, დამოუკიდებელი სოციალისტები და შირაქის გლეხთა კავშირი გამოვიდნენ სომხეთის პარლამენტის და მთავრობის წინააღმდეგ. ყველანი აღნიშნავენ დღევანდელ მთავრობის სულიერ გაკოტრებას და მოითხოვენ როგორც მთავრობის, ახალ კაბინეტის შედგენას ისე პარლამენტის შედგენილობის გამოცვლას.

**ამერიკის ჯარი სომხეთისათვის.**

ვაშინგტონიდან იტყობინა, სახ. მდივნის თანაშ. ფილიპსმა სენ. კომ. განაცხადა ჯარის ატვილებლივი გაგზავნის საჭიროება არ გაუწიეს სომხეთი განადგურების გზას ადგია. საქაროა ამის ასაცილებლად ოსმალეთის დ. თათრების ძალ მომხრეობა შესუსტებულ იქნეს.

**ახალი ამბები ქუთაისი**

**ფოსტა ტელეგრაფი ბათუმში.** ოთხ ამა ნოემბრიდან განახლდა ბათუმში და ბათუმის ოლქის ყოველ დაწესებულებასთან ფოსტისა და ტელეგრაფის ყოველგვარი კორრესპონდენციის გაცვლა-გაპოცვლა შემდეგი ნიხრის გადახდევინებით: ბანდეროლები ბეჭდვითი ნაწარმობით 15 გრამზე 10 კაპ. საქმის ქალაღლებით ან საქონლის ნიუშებით 15 გრამზე 50 კაპ. უმცირესი ფასი ერთი მანეთი, ღია წერილები თითო 50 კაპ. პასუხ გარდახდილი ერთი მანეთი, დახურული წერილები ერთი მანეთი 15 გრამში სადარბაზო ბარათები ათი შაური, 15 გრამში უმცირესი ფასი ერთი მანეთი, დახვეული წერილები წონის ფასი როგორც უბრალო. დახურული წერილები, დასაზღვევი კი ერთი მანეთი ფასიანი წერილები წონის ფასი როგორც უბრალო და ხურული წერილებისა, დასაზღვევი

გამოცხადებულ თანხის ორი პროცენტი ხოლო არა ნაკლები უნდა იქნება თისა ფასიანი წერილები განსაზღვრება 45000 მანეთით და წონა ხუთი გირფანქით ამანათები ორ გირფანქამდე ექვსი მანეთი ორიდან ხუთამდე ერთი თუმანი, ხუთიდან შვიდამდე 12 მანეთა, შვიდიდან თორმეტამდე 16 მან. თორმეტს ზევით გირფანქაში 50 კაპ. დასაზღვევი ორი პროცენტი გამოცხადებული ფასისა ხოლო არა ნაკლებ ორი მანეთისა. ამანათების წონა განისაზღვრება ერთი ფუთით და ღირებულება ხუთი ათასი მანეთით, ფულის ბარათები ფოსტით გადასაგზავნი ფასი ორი მანეთი, ყოველ ას მანეთზე ან ასი მანეთის ნაწილზე ხოლო ტელეგრაფით ხუთას მანეთამდე ოც სტუკიანი დეპეშის ფასი ხუთასიდან ხუთი ათასამდე, ოცდახუთ სტუკიანი დეპეშის ფასი თითო ფულის ბარათით გაიგზავნება არა უმეტეს ხუთასი მანეთისა, დეპეშები უბრალო სიტყვა მანეთ ნახევარი, უბრალო გადაცემის შემოწმებით სიტყვა სამი მანეთი სასწრაფო სიტყვა ოთხი მანეთ ნახევარი, სასწრაფო გადაცემის შემოწმებით სიტყვა ექვსი მანეთი, ცალკე სადებეშო ფასი არ არსებობს, ფულის ბარათები უნდა გაიგზავნოს სამტრედის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ცალკე ფოსტ პოკეთით იმავე წესით რა წესითაც იგზავნება თბილისში ოზურგეთიდან ფულის ბარათები. ამანათები მიიღება მხოლოდ საბაჟოსაგან ნებადართული, დანარჩენი ფოსტის კორრესპონდენცია გაიგზავნება ჩვეულებრივის წესით როგორც შინაგანი კორრესპონდენცია.

➔ **ბოლშევიკის დახვრეტა.** ახალმა ხველზე სასამართლომ მოქმედება უკვე დაიწყო. ბოლშევიკურ ბრბოს ერთი მეთაური გორში დახვრიტეს.

➔ **სახალხო უნივერსიტეტი.** სახალხო უნივერსიტეტში მეცადინეობა გუშინ 17 ნოემბერს დაიწყო. მეცადინეობა პირველ ვაჟთა გიმნაზიაში სწარმოებს.

➔ **შაბიბანი და გოგირდი.** ერობათა კავშირი ქუთაისის სამაზრო ერობას ეკითხება თუ რამდენი იქნება საჭირო ქუთაისის მაზრისთვის შაბიბანი, გოგირდი და პარიზის ფხენილი.

➔ **ჯარში გაწვევა.** ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები მრავლად ცხადდებიან ქუთაისის სამობილიზაციო ნაწილებში.

➔ **ქუთაისის, რაჭის და ლენხუმის მაზრების კოოპერატივების წარმომადგენლებს ყრილობა 16 ნოემბერს ქუთაისში შესდგა ქუთაისის, რაჭის და ლენხუმის მაზრების კოოპერატივების წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობამ კრების თავმჯდომარეთ აირჩია ქალაქის თავის ამაზნავი სერგო რობაქიძე, მდივნათ ქალაქის საბჭოს მდივანი ილია ბახტაძე. ყრილობის დადგენილებები ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში იქნება მოთავსებული.**



